გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიში

სკოლა:	**მედიცინის სკოლა**
საგანმანათლებლო პროგრამა:	**მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)**
სემესტრი:	**2019-2020 ს/წ საგაზაფხულო და 2020-2021 ს/წ საშემოდგომო სემესტრი**

რამდენი პერსონალის თვითშეფასება იქნა წარმოდგენილი/გაანალიზებული (რამდენად გულწრფელად/რეალისტურად შეიძლება ჩაითვალოს პასუხები; შედარდა თუ არა სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებთან)	წარმოდგენილი იქნა 19 აკადემიური პერსონალის თვითშეფასება, ასევე, ჩატარდა სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა. ერთმანეთთან შედარდა სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები და პერსონალის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები, პასუხები რეალისტურად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან არსებობს სტატისტიკური კორელაცია სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებსა და პერსონალის თვითშეფასების ანგარიშებს შორის.

სილაბუსის რომელი კომპონენტების კორექტირება მიიჩნევა საჭიროდ (ტენდენცია დისციპლინების და პერსონალის მინიშნებით - შედარება სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებთან)	პერსონალის მხრიდან გამოხატული ძირითადი ტენდენციაა სილაბუსის თემატიკის ცვლილება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი სტუდენტი არ მიუთითებს თემატიკის ცვლილების აუცილებლობას. სილაბუსის კორექტირება, ძირითადად, თემტიკის ცვლილებას ეხება. თამარ ჩარკვიანმა- რადიოლოგია და სამედიცინო რენდგენოლოგია; ხათუნა კალაძემ- კლინიკური უნარები.

უზრუნველყოფილია თუ არა დისციპლინა სასწავლო რესურსებით (მიეთითოს ხარვეზი - შედარება სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებთან)	სასწავლო რესურსთან დაკავშირებით პრაქტიკულად არ აღინიშნება ხარვეზები (რაც არ დასტურდება, აგრეთვე, სტუდენტთა შეფასებაშიც) მცირე გამონაკლისის გარდა, ეს ხარვეზი ძირითადად ეხება ელექტრონული პორტალის გამოყენებას. **რეკომენდაცია:** ნექსუსის ადმინისტრატორმა უნდა წარმოადგინოს წინადადებები პორტალის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდისთვის.

რა ტენდენცია შეინიშნება სტუდენტთა აქტივობისა და ეფექტიანობის მიმართულებით (გამორჩეული შეფასებების დაკონკრეტებით - შედარება სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებთან)	სტუდენტთა შეფასების ფარგლებში, გამოიკვეთა რამდენიმე სახის დადებითი ტენდენცია, მათ შორის, პრიორიტეტულია: მაღალკვალიფიციური პერსონალი; სწავლების მაღალი ხარისხი; შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა. აქვე აღსანიშნავია, რომ სტუდენტებმა გამოთქვეს აზრი პრაქტიკული მეცადინეობების მეტ-ნაკლები სიმცირის შესახებ, რაც გამოიწვია (როგორც თავად სტუდენტებიც აღნიშნავენ) online სწავლების მეთოდმა, მაგრამ ამასთანავე გამოიკვეთა სტუდენტების სურვილი, რომ მათივე ჯანმრთელობის უსაფრთხოების მიზნით, ვიდრე არსებობს ვირუსის საფრთხე გაგრძელდეს ელექტრონული სწავლება. პერსონალი, ისეთ ძირითად მახასიათებლებს, როგორიცაა სტუდენტთა მოტივაციის დონე; დასწრების ინტენსივობა; სასწავლო ატივობა; რესურსების და საკონტაქტო საათების ოპტიმალურობა, საკმაოდ მაღალი ქულებით აფასებს, თუმცა უნდა აღინიშნოს ცალკეულ გამონაკლისიც, რომელიც ეხება ქართული ენის სალექციო კურსში დისციპლინის ხელმძღვანელის სურვილს - სალექციო საათების გაზრდის შესახებ. გარდა ამისა, სტუდენტთა დასწრების კომპონენტში, ზოგიერთი ლექტორი დაბალ შეფასებას აძლევს ჯგუფს. მაგალითად, ჯანმრთელობის ხელშეწყობა (ო. გერზმავა) 3 ქულა, სამედიცინო ფიზიკა და ბიოფიზიკა ბიოფიზიკა (პ. კერვალიშვილი) 3 ქულა, ზოგადი ფარმაკოლოგია; კერძო ფარმაკოლოგია-(ლ. ცქიტიშვილი) 3 ქულა. აღსანიაშნავია, რომ სტუდნტები, ამ დისციპლინის ლექტორებს ან დისციპლინის განხორციელების პროცესს, მაღალ შეფასებას აძლევენ, რაც ართულებს ამ კომპონენტში დაბალი მაჩვენებლის ახსნას; სტუდენტთა მოტივაციის დონე - ამ კომპონენტშიც მხოლოდ ერთეული შემთხვევებია, რომელიც პერსონალმა შეაფასა, როგორც საკმარისი ანუ მიანიჭა 3 ქულა, ასეთებია: რადიოლოგია, სამედიცინო რენდგენოლოგია (თ.ჩარკვიანი); ზოგადი ფარმაკოლოგია

	(ლ.ცქიტიშვილი), ამ შემთხვევაშიც სტუდენტები მაღალ შეფასებას აძლევენ ამ დისციპლინების ხელმძღვანელებს. წინააღმდეგობრივია შეფასება სასწავლო მასალით უზრუნველყოფის ნაწილში. ამ პარამეტრით, სტუდენტები დაბალი ქულით აფასებენ შემდეგ ლექტორებს: ლ. სირაძე - ბავშვთა ინფექციური დაავადებები; მ. დუმბაძე - სისტემური პათოლოგია; ო.გერზმავა - ჯანმრთელობის ხელშეწყობა; ზ.ბერიშვილი-სინდრომული და დიფერენციალური დიაგნოსტიკა; პ.კერვალიშვილი -სამედიცინო ფიზიკა და ბიოფიზიკა; ლ.ცქიტიშვილი- ზოგადი ფარმაკოლოგია, კერძო ფარმაკოლოგია; ნ.რაჭველიშვილი-კომუნიკაციის უნარები; ე.პეტრიაშვილი- სამედიცინო გენეტიკა, პარაზიტოლოგია; ი.გოგოხია- ანესთეზიოლოგია და კრიტიკული მედიცინა. ამავე პარამეტრს, ყველა ამ დისციპლინის ხელმძღვანელი, მაღალი ქულით აფასებს, ამასთან, ყურადსაღებია, რომ სხვა პარამეტრების მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილ ლექტორებს, სტუდენტები მაღალ შეფასებას აძლევენ, რაც საფუძველს ქმნის, ამ დისციპლინების განხორციელება, ძირითადად, შეფასდეს დადებითად. **რეკომენდაცია:** 1. მიზანშეწონილია სტუდენტებსა და ლექტორებთან ვერბალური კომუნიკაცია, ცალ-ცალკე, სტუდენტთა მოტივაციისა და სასწავლო მასალის გამოყენების რეალური მდგომარეობის შესასწავლად; 2. პროგრამის კომიტეტმა განიხილოს საკითხი ქართულ ენაში საათების გაზრდის შესახებ.

რა მხარდაჭერის აუცილებლობა იკვეთება უნივერსიტეტის მხრიდან (დისციპლინის მითითებით)	ლექტორების ნაწილი გამოთქვამს სურვილს - რომ ესაჭიროებათ პროფესიული ტრენინგი,(ხათუნა კალაძე-კლინიკური უნარები; თამარ ჩარკვიანი-რადიოლოგია და სამედიცინო რეგბენოლოგია;) აქვე უნდა აღინიშნოს კონკრეტული შემთხვევა, სადაც დისციპლინის ხელმძღვანელი ლიანა სირაძე აღნიშნავს უნივერსიტეტის უდიდეს მხარდაჭერას მისი საავტორო საბაზისო წიგნების გამოცემის თაობაზე - 1. ბავშვთა ინფექციური სნეულებანი; 2. ბავშვთა ნევროლოგია.

	რეკომენდაცია: სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორმა წარმოადგინოს ტრენინგის ჯგუფის მონაწილეთა სია და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მისი ჩატარება.

რა სახის ცვლილებების შეტანა ივარაუდება სასწავლო პროგრამაში/სილაბუსში (ცვლილებებისა და დისციპლინის/პერსონალის მითითებით)	1. კლინიკური უნარები (ხ.კალაძე) OSCE-ს სადგურების ცვლილება. 2. რადიოლოგია, სამედიცინო რენდგენოლოგია (თ. ჩარკვიანი) . **საფუძველი:** შეფასების შედეგების გაუმჯობესება; 3. სამეცნიერო კვლევა 1 (თ. პეტრიაშვილი) თემატიკის ცვლილება: პარაგრაფის სტრუქტურის და ლექსიკის საკითხები.